ომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

შპს „შვიდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც ჯგუფმა შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეიტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის მაჩვენებლები არის შემდეგი:

	წელი
შენობები	20
ნაგებობები	10
მანქანა-დანადგარები	7-10
კომპიუტერული ტექნიკა	4-5
ელექტრონული მოწყობილობები	4
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-6
სატრანსპორტო საშუალებები	5-8

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი, (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

შპს „შვიდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ყოველწლიურად. საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

იჯარა

განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, იჯარის დასაწყისში ხდება, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებადი აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აღიარებს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 10 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის მიწიქებით, ჯგუფი არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება. კომპანიის არამატერიალური აქტივი არის ორისის საბუღალტრო პროგრამა.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდი ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა FIFO მეთოდს და მოიცავს შეძენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ

შპს „შვიდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება ჯგუფში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა; კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი; ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანიის სხვა ფინანსურ შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან. კომპანია შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო მონაცემები. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

შპს „შვიდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

დონე 1 - იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით;

დონე 2 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი და არაპირდაპირი განსაზღვრა;

დონე 3 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის განსაზღვრა.

შპს „შვიდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3 ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	კეთილმოწყობა	მიწა	შენობა- ნაგებობა	მშენებლობა	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2022	248,612	249,208	79,520	237,020	76,014	374,248	2,210,263	-	137,129	3,612,014
შემოსვლა	44,163	6,829	10,219	74,088	-	768,396	-	348,812	44,859	1,297,366
გასვლა	-	-	-	-	-	(34,746)	(224,006)	-	-	(258,752)
ისტორიული ღირებულება 31.12.2023	292,775	256,037	89,739	311,108	76,014	1,107,898	1,986,257	348,812	181,988	4,650,628
შემოსვლა	1,836	23,068	85,967	129,210	24,562	-	-	994,326	21,681	1,280,650
გასვლა	-	-	-	(66,731)	-	-	-	-	-	(66,731)
ისტორიული ღირებულება 31.12.2023	294,611	279,105	175,706	373,587	100,576	1,107,898	1,986,257	1,343,138	203,669	5,864,547
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	(246,615)	(141,661)	(60,944)	(116,212)	(3,363)	-	(420,852)	-	(107,120)	(1,096,767)
ცვეთა	(3,355)	(35,377)	(7,388)	(31,867)	(11,053)	-	(82,873)	-	(5,755)	(177,668)
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	122,194	-	-	122,194
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	(249,970)	(177,038)	(68,332)	(148,079)	(14,416)	-	(381,531)	-	(112,875)	(1,152,241)
ცვეთა	(6,929)	(35,431)	(15,228)	(42,938)	(9,432)	-	(77,646)	-	(5,971)	(193,575)
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	40,363	-	-	-	-	-	40,363
დაგროვილი ცვეთა 31.12.2024	(256,899)	(212,469)	(83,560)	(150,654)	(23,848)	-	(459,177)	-	(118,846)	(1,305,453)
წმინდა საბალანსო ღირებულება წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2022	1,997	107,547	18,576	120,808	72,651	374,248	1,789,411	-	30,009	2,515,247
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2023	42,805	78,999	21,407	163,029	61,598	1,107,898	1,604,726	348,812	69,113	3,498,387
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2024	37,712	66,636	92,146	222,933	76,728	1,107,898	1,527,080	1,343,138	84,823	4,559,094

*ჯგუფის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები წარმოადგენს უზრუნველყოფის საგანს საფინანსო ინსტიტუტებისაგან აღებული ვალდებულებების დაფარვის შესასრულებლად.

შპს „შვიდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

4 მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
საქონელი	9,591,885	7,794,678
საქონელი გზაში	1,654,493	2,414,809
სხვა მარაგები	28,629	8,812
სულ	11,275,007	10,218,299

5 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5,006,567	4,957,502
გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნები	(108,471)	(119,406)
სულ	4,898,096	4,838,096

	31.12.2024	31.12.2023
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	68	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	760,937	433,562
სხვა მოთხოვნები	201,338	588,781
სულ	962,343	1,022,343
სულ	5,860,439	5,860,439

გაუფასურებული მოთხოვნები

	2024	2023
საწყისი ნაშთი	(119,406)	(1,608,067)
წლის გაუფასურება	(800)	(68,210)
აღდგენა	11,735	1,556,871
საბოლოო ნაშთი	(108,471)	(119,406)

6 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	908,373	1,397,533
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	32,423	92,735
ეროვნული ვალუტა სალაროში	26,895	65,276
სულ	967,691	1,555,544

შპს „შვიდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

7 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	7,305,618	7,070,767
	7,305,618	7,070,767
მიღებული ავანსები	42,245	272,392
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	18,012	22,716
	60,257	295,108
	7,365,875	7,365,875

8 ნასესხები სახსრები

	31.12.2024	31.12.2023
მოკლევადიანი სესხი	7,928,534	6,989,701
სულ	7,928,534	6,989,701

მიღებული სესხები შედგება საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხებისაგან.

მიღებული სესხები დენომინირებულია ევროში და დოლარში.

სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს: ევროში - 5.9%, დოლარში 6.5%

სესხის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიის საკუთრებაში არსებული ყველა მოძრავ ნივთზე და არამატერიალურ სიკეთეზე რეგისტრირებულია გირავნობის უფლება.

9 ამონაგები

	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	44,249,527	42,302,137
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(9,983)	(35,260)
სულ	44,239,544	42,266,877

10 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შედგენილია საანგარიშგებო პერიოდში რეალიზებული სავაჭრო მარაგების თვითღირებულებისგან.

11 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
ხელფასი და მასთან გათანაბრებული ხარჯი	3,217,400	4,318,820
საწვავი	84,093	77,111
ოფისის იჯარის ხარჯი	312,620	254,921
კომუნალური ხარჯები	68,690	62,419
დაზღვევა	14,473	16,436
მივლინების ხარჯები	88,970	55,510

შპს „შვიდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კომპიუტერის ხარჯი	21,545	14,333
წარმომადგენლობითი ხარჯი	10,107	20,116
სხვა საგადასახადო ხარჯი	33,467	39,503
ბანკის მომსახურების საკომისიო	65,728	33,564
ბიზნეს კონსულტაციის ხარჯი	98,223	105,995
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	555,283	172,846
	4,570,599	5,171,574

12 დაკავშირებული მხარეები

ხელმძღვანელი რგოლის ანაზღაურება წარმოდგენილია შემდგენილად:

	31.12.2024	31.12.2023
გაცემული სესხები	14,000	14,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	39,645	19,213

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2024	2023
დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება	1,013,275	3,406,789

13 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოველენები

2024 წლის 31 დეკემბრიდან ამ ანგარიშგების დამტკიცების პერიოდამდე ჯგუფმა აიღო 16.4 მილიონი ლარის სესხი და დაფარა 15.2 მილიონი ლარის სასესხო ვალდებულება.

2024 წლის 31 დეკემბრიდან ამ ანგარიშგების დამტკიცების პერიოდამდე ჯგუფმა გასცა 1,4 მილიონი ლარის დივიდენდი.

შპს „შვიდი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

შპს შვიდი (ს/კ 211371638)

მმართველობის ანგარიშგება

31 დეკემბერი 2024

შპს „შვიდი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სარჩევი

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
2. კომპანიის საქმიანობა და განვითარების გეგმები
3. ინფორმაცია შვილობილი კომპანიისა და ფილიალების საქმიანობის შესახებ
4. კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა და შიდა რეგულაციები.
5. კომპანიის ბიზნეს რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

შპს „შვიდი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და
დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

მმართველობის ანგარიშგება მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის
მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 23 ოქტომბერს.

მალხაზ ტვილდიანი

დირექტორი

შპს „შვიდი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და
დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

მმართველობის ანგარიშგება მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის
მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 23 ოქტომბერს.


მაღნაზ ტვილდიანი
დირექტორი



შპს „შვიდი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. კომპანიის საქმიანობა და განვითარების გეგმები

შპს შვიდი (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 1998 წლის 27 მაისს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდუბის რაიონი, თევდორე მღვდლის ქუჩა N59, საოფისე ფართი, სართული 2.

კომპანიის დამფუძნებელთა სტრუქტურა შემდეგია:

- მალხაზ ტვილდიანი (პ/ნ 53001000389) – 20%, არის კომპანიის ერთპიროვნული დირექტორი
- სერგო ჩხაიძე (პ/ნ 26001001530) – 5%
- ნინო ორჯონიკიძე (პ/ნ 01010014727) – 25%
- ირაკლი ვაჩნაძე (პ/ნ 01018002341) – 25%
- ირაკლი მასხულია (პ/ნ 01015007913) – 25%

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა საკვები და სკონდიტრო ინგრედიენტების, ასევე საკონდიტრო-სასაცხობე წარმოებისათვის საჭირო ინვენტარის, ინსტრუმენტებისა და სახარჯი მასალების იმპორტი სხვადასხვა ქვეყნებიდან და საბითუმო რეალიზაცია როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე აზერბაიჯანისა და სასომხეთის რესპუბლიკებში (რე)ექსპორტის სახით. შპს შვიდის საქმიანობა დაფუძნებულია B2B ბიზნეს მოდელზე, შესაბამისად კომპანიის კლიენტების აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ მეწარმე იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც წარმოდგენილი არიან ბაზარზე როგორც წვრილი და საშუალო, ასევე მსხვილი/კორპორატიული ბიზნესებით. ჩვენ ვთანამშრომლობთ ყველასთან განურჩევლად ზომისა, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა ერთობ გრანულირებულ სტრუქტურასა და დივერსიფიკაციის მაღალ ხარისხს. გაყიდვების მოცულობა არამეწარმე პირებზე უმნიშვნელოა (<3%).

კომპანიის ძირითად მომწოდებლებს წარმოადგენენ ევროპისა და მსოფლიოს ბაზარზე მოოპერირე სხვადასხვა წამყვანი უცხოური ბრენდები და მსხვილი მოთამაშეები საკონდიტრო ბიზნესში. შესაბამისად მომწოდებელთა სტრუქტურა დივერსიფიცირებულია და მოიცავს ისეთ ქვეყნებს როგორიცაა: გერმანია, ავსტრია, თურქეთი, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, უკრაინა და რუსეთი.

2023 წლისათვის კომპანიას დაგეგმილი ჰქონდა ორგანიზაციული სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილება უფრო ეფექტურ ბიზნეს მოდელზე გადასასვლელად, რაც არასრულად, მაგრამ წარმატებით განხორციელდა, კერძოდ: მოხდა უფლება-მოვალეობების დელეგირება სხვადასხვა ოპერაციულ რგოლებსა და განყოფილებებს შორის; სამეურნეო წლის ბიუჯეტირებისა და დეტალური დაგეგმვის უზრუნველყოფა რელევანტურ სტატისტიურ მონაცემებზე დაყრდნობით; გაყიდვებში დეტალური გეგმების შემუშავება და შესრულების რეგულარული მონიტორინგი; ხდება ფინანსური პერფორმანსის კოველკვარტლური მონიტორინგი, მრავალშრიანი ბიზნეს-ანალიზი რაც მოიცავს კომპანიის მიმდინარე მდგომარეობისა და ბაზარზე არსებული კონიუქტურის შეფასებას მომწოდებლების, კლიენტებისა და პროდუქტების ჭრილში.

2024 წელს შპს შვიდმა შესძლო: კლიენტების მოხმარებაში საკუთარი წილის გაზრდა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება; მარაგებისა და გაყიდვების დაგეგმვის, ასევე საფასო პოლიტიკის დახვეწა; ამაღლდა

შპს „შვიდი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ოპერაციული რგოლებისა და ბიზნეს პროცესების ეფექტურობა. ეს ყველაფერი კი აისახა რეალიზაციების 28%-იან მატებასა (დაგეგმილი იყო 30%-იანი ზრდა) და ბაზრის წილის მნიშვნელოვან ზრდაში. მოხდა გაყიდვებზე პასუხისმგებელი გუნდის გაზრდა-გაძლიერება ახალი თანამშრომლების აყვანითა და კვალიფიკაციის ამაღლებით.

ამის პარალელურად მოხდა მიწის შეძენა და სასაწყობო ფართის მშენებლობის დაწყება და ავტოპარკის გაზრდა, ასევე ერთერთი ძველი საწყობის რეალიზაცია.

2025 წლისათვის დაიგეგმა:

- რეალიზაციის ზრდა 15-20%-ით 2024-თან შედარებით.
- გაყიდვების ჯგუფის კიდევ გაზრდა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.
- ბაზრის წილის ზრდა.
- ახალი საწყობის მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში მიღება.

2. ინფორმაცია შვილობილი კომპანიებისა და ფილიალების შესახებ

კომპანიას გააჩნია ფილიალები **თბილისში** (მის: თევდორე მღვდლის ქ. N59), **ქუთაისსა** (მის: 9 აპრილის ქ. N2) და **ბათუმში** (მის: ა. ჩხაიძის ქ. N29). აღრიცხვიანობა ხდება ერთიან სააღრიცხვო სისტემაში, ანუ ფილიალებს არ გააჩნიათ დამოუკიდებელი სააღრიცხვო ბაზები.

შპს შვიდი არის შპს შვიდი ვაინის (ს/კ 405130889) 85% -იანი დამფუძნებელი. შპს შვიდი ვაინის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ძირითადად ალკოჰოლური სასმელების (ძირითადად ღვინის) წარმოების პროცესთან დაკავშირებული დანადგარების, მასალებისა და სხვადასხვა საჭირო საშუალებების იმპორტი და რეალიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე. შპს შვიდი ვაინს გააჩნია ერთი ფილიალი თელავსა და ქუთაისში.

3. კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა და შიდა რეგულაციები

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 50. კომპანიაში დანერგილია ბონუსური სისტემა თანამშრომელთა წახალისების მიზნით. გაყიდვებზე პასუხისმგებელი თანამშრომლებისათვის ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე. სხვა დანარჩენი თანამშრომლებისთვის კვარტალურად გაიცემა დამატებითი სარგებელი. კომპანიაში დასაქმებულთა უმრავლესობა მამაკაცია ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე, თუმცა აღსანიშნავია, რომ ქალთა რაოდენობა დასაქმებულთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 30% შეადგენს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კომპანიაში გენდერული ბალანსი დაცულია.


კომპანიას შემუშავებული აქვს ინსტრუქციები და შიდა კონტროლის პროცედურები, რომლებიც ემსახურება კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების აღმოფხვრას, შემცირებასა და კონტროლს.

შპს შვიდის ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელზეც კომპანია ნაწილობრივ გადავიდა 2022 წლიდან და ყველა საოპერაციო რგოლის სრულად დაკომპლექტება მოხდება 2024-2025 წლებისათვის, წამოდგენილია შემდეგნაირად:

შპს „შვიდი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)



კომპანიის მენეჯმენტს მმართველობით ფუნქციებთან ერთად სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. იგი პერმანენტულად ახორციელებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზსა და შეფასებას საცდელი/შუალედური ფინანსური უწყისების საფუძველზე, მონიტორინგს უწევს დასახული გეგმებისა და სტრატეგიული ამოცანების შესრულების მიმდინარეობას.

რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად, რომელთა ფუნქციები და კონკრეტულ რგოლში შემავალი თანამშრომლების უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია კომპანიის შიდა დოკუმენტაციით. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა, სხვა არსებულ შიდა რეგულაციებთან ერთად, პერიოდულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გათვალისწინებით.

4. კომპანიის ბიზნეს რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

ბიზნეს საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიისათვის გამორჩეულად რელევანტურია და ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- სამართლებრივი და კონტრაგენტის რისკი
- საოპერაციო რისკი
- კონკურენციისა და საბირჟო საქონლის ფასის რისკი

შპს „შვიდი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

• ფინანსური რისკი

5.1. სამართლებრივი და კონტრაგენტის რისკი

სამართლებრივი რისკი - განისაზღვრება როგორც კომპანიის რეგისტრაციასა და მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი ასპექტის შესაბამისობა ქვეყანაში მოქმედ კანონებთან და რეგულაციებთან.

შპს შვიდი მრავალი წელია თანამშრომლობს საკონსულტაციო იურიდიულ კომპანიასთან, შესაბამისად ყველა იურიდიული საკითხი, რაც ეხება კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის კანონთან შესაბამისობასა თუ ჯეროვან რეგისტრაციას, მოგვარებულია და არ მოიცავს რაიმე სახის ხარვეზს.

კომპანიის საქმიანობა არ საჭიროებს რაიმე სპეციალურ ლიცენზიას, სხვა მხრივ ის სრულ შესაბამისობაშია ქვეყანაში მოქმედ ყველა იმ რეგულაციასთან, რაც სასურსათო ინგრედიენტებით ვაჭრობასთანაა დაკავშირებული.

კონტრაგენტის რისკი - განისაზღვრება როგორც ბიზნეს-კონტრაქტის პირობების ჯეროვნად შესრულებასთან ან შეუსრულებლობასთან დაკავშირებული რისკი, რამაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი მატერიალური/ფინანსური ზარალი გამოიწვიოს, ასევე გაზარდოს კომპანიის რეპუტაციული რისკი.

შპს შვიდისათვის ეს რისკი ორი ძირითადი წყაროდან მომდინარეობს, ესაა პროდუქციისა და მომსახურების მომწოდებლებთან დაკავშირებული კონტრაქტები და კლიენტებთან/მომხმარებლებთან დაკავშირებული კონტრაქტები. კონტრაქტის შესრულების რისკი ძირითადად დაკავშირებულია როგორც მიწოდების პირობების დარღვევასთან - რამაც შესაძლებელია შექმნას პრობლემები ბიზნესის უწყვეტობაში, ასევე გადახდის პირობების შეუსრულებლობასთან, რაც პირდაპირ შეიძლება უკავშირდებოდეს ფინანსურ ზარალს.

ამ რისკის მიტიგაციისთვის შპს შვიდი შემდეგ პრაქტიკას იყენებს: ყველა მნიშვნელოვანი და მატერიალური მოცულობის კონტრაქტი როგორც მომწოდებლებთან, ასევე მომხმარებლებთან გაფორმებულია წერილობით. კონტრაქტის ტექსტი/რედაქცია შეჯერებულია პარტნიორ იურიდიულ საკონსულტაციო ფირმასთან. გარდა ამისა, შპს შვიდს გააჩნია მრავალწლიანი პოზიტიური და მზარდი პარტნიორული ურთიერთობა ყველა მსხვილ მომწოდებელთან და მომხმარებელთან, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს კონტრაგენტის რისკის აღმოცენებას მათთან მიმდინარე და სამომავლო ურთიერთობებში.

4.2. საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი - განისაზღვრება როგორც კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობის, ბიზნეს-პროცესების შეფერხების რისკი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის მოგების შემცირება ან ზარალი. ეს რისკი შეიძლება გამოწვეული იყოს არაეფექტური/ბიზნეს ოპერაციების შემაფერხებელი სხვადასხვა შიდა და გარე ფაქტორებით,

შპს შვიდის საქმიანობაში შესაძლებელია არსებობდეს შემდეგი სახის საოპერაციო რისკები:

- თანამშრომლის მიერ ადამიანური ფაქტორით გამოწვეული შეცდომა
- ბიზნეს-პროცესებში გამოყენებული საოპერაციო სისტემის, ასევე სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები გაუმართავობა/დაზიანება
- სხვადასხვა სახის შიდა და გარე აქტორებისგან მომდინარე არაკეთილსინდისიერი ქმედებები (frauds).

კომპანიას გაანალიზებული და შეფასებული აქვს ყველა ეს რისკი და მათ შესამსუბუქებლად სათანადო ღონისძიებებს მიმართავს, კერძოდ:

შპს „შვიდი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

- იდენტიფიცირებულია ბიზნეს-პროცესის ყველა ის რგოლი, რომლებიც ყველაზე უფრო მოწყვლადია მატერიალური ზარალის მიღების თვალსაზრისით (მაგ: ნაღდი ფულის მოძრაობა სალაროში, კომპანიის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების ექსპუატაცია, საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული საჯარიმო სანქცია და მისი) და ამ რგოლებში დასაქმებულია მრავალწლიანი გამოცდილებისა და უნარების მქონე პერსონალი (მაგ: მოლარე-ოპერატორები ფულთან/სალაროსთან მუშაობის გამოცდილებით და მძღოლები სათანადო მართვის უნდებით), ასევე ხორციელდება ბიზნეს-ოპერაციების „ოთხი თვალის“ პრინციპით კონტროლი და მონიტორინგი. ბუღალტრული აღრიცხვა გატანილია აუტოსორსინგის მომსახურებაზე და მის მოწესრიგებულობაზე პასუხსმგებელია (მათ შორის მატერიალურადაც) პარტნიორი კომპანია.
- საოპერაციო სისტემის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს პარტნიორი კომპანია; ხორციელდება კომპანიის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებებით განხორციელებული ტვირთბრუნვის მონიტორინგი დასაშვები ტვირთამწეობის კონტროლის კუთხით; დაზღვეულია ავტოპარკი.
- სხვადასხვა გაუთვალისწინებელი და არაკეთილსინდისიერი ქმედებების პრევენციისათვის კომპანიის ოფისებსა და სწყობებში დამონტაჟებულია სათვალთვალ კამერები და დაცვის სისტემები. ობიექტების დაცვის სერვისიც გატანილია აუტოსორსინგზე. ასევე, ნაღდი ფულის შესანახ სეიფსა თუ საბანკო ანგარიშებზე წვდომა შეზღუდულია და ნებადართულია მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილი პირებისთვის.

4.3. კონკურენციის რისკი და საბირჟო საქონლის ფასის რისკი

კონკურენციის რისკი - განისაზღვრება როგორც ბაზრის წილის დაკარგვის რისკი, რაც განპირობებულია კონკურენტის სწრაფი ზრდით. ბაზრისათვის, სადაც შპს შვიდი ოპერირებს, დამახასიათებელია მძაფრი კონკურენცია, შესაბამისად მნიშვნელოვანია სტაბილური და მჭიდრო ურთიერთობები არა მხოლოდ მომხმარებლებთან არამედ მომწოდებლებთანაც.

გარდა იმისა, რომ კომპანია კონკურენტულ ფასებში ახდენს მხოლოდ მაღალი ხარისის საქონლისა და მომსახურების მიწოდებას ბაზარზე, კონკურენციის რისკის შესამცირებლად შპს შვიდი შემდეგ მექანიზმებს იყენებს:

- თითქმის ყველა მომწოდებლებთან არსებობს შეთანხმება ე.წ. ექსკლუზიურ წარმომადგენლობაზე არა მხოლოდ ქვეყანაში, არამედ რეგიონში და ეს შპს შვიდის სტრატეგიას წარმოადგენს.
- შპს შვიდი მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს კლიენტების განვითარებას, რისთვისაც წელიწადში რამდენჯერმე ახდენს მათთვის მასტერკლასების/სემინარების მოწყობას მოწვეული უცხოელი შეფების/კონდიტერების მონაწილეობით საქართველოში, ასევე უზრუნველყოფს კლიენტების წაყვანას ანალოგიურ ღონისძიებებზე ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ყოველწლიურად. ამ ყველაფრით ხდება როგორც მომხმარებელთა კმაყოფილებისა და მათი ლოიალურობის, ასევე პროფესიული ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება. ეს ყველაფერი კი უფრო პროგნოზირებადს ხდის მათი განვითარების მიმართულებასა და სამომავლო საჭიროებებს.

საბირჟო საქონლის ფასის რისკი - განისაზღვრება როგორც ფასების გაუთვალისწინებელი ცვლილების რისკი იმ საქონელზე, რომლებიც სასაქონლო ბირჟებზე ივაჭრება. ვინაიდან შპს შვიდი ახორციელებს კაკოსა და კაკაო-პროდუქტების იმპორტსა და (რე)ექსპორტს, მისთვის რელევანტურია აღნიშნული რისკი. რისკის მინიმიზაციისათვის შპს შვიდი ახორციელებს მაქსიმალურად მცირე და მოკლევადიან ინვესტიციებს ამ ტიპის საქონლით ვაჭრობის ნაწილში, ხოლო რეალიზაცია თითქმის არ ხდება კონსიგნაციით. გარდა ამისა, თითქმის ყველა ტრანზაქცია წინასწარ დაკონტრაქტებულია და რაოდენობასთან ერთად შეთანხმებულია ფასებიც.

შპს „შვიდი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

4.4. ფინანსური რისკი

ფინანსური რისკი - განისაზღვრება როგორც ბიზნესის ვალდებულებების მართვასთან და კომპანიის ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებული რისკი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ბაზარზე მომხდარი ცვლილებებიდან, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყოს ბაზრის კონიუქტურაზე მოქმედი სხვადასხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფაქტორებით. ფინანსური რისკის სახეებიდან შპს შვიდისათვის ყველაზე უფრო რელევანტური შემდეგია:

- სავალუტო რისკი - კომპანიისათვის წარმოიშვება საერთაშორისო ბიზნეს გარიგებებიდან, ვინაიდან საქონლის/მომსახურების შეძენა და რეალიზაცია სხვადასხვა ვალუტაში წარმოებს.
- საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი ვრცელდება როგორც მომხმარებლებისთვის გაცემულ და მომწოდებლებისაგან მიღებულ სასაქონლო კრედიტებზე (*პროდუქციის კონსიგნაციით შეძენა და რეალიზაცია*), ასევე საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებზე, რაც ნაწილობრივ შეიძლება მოცავდეს საპროცენტო განაკვეთის რისკსაც.
- ლიკვიდურობის რისკი - განისაზღვრება კომპანიის ლიკვიდურობის დონით, რაც თავის მხრივ მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების/მიმდინარე აქტივების არსებობას უკავშირდება.

სავალუტო რისკის შემსუბუქებას კომპანია არაერთი მიმართულებით ცდილობს, რაც ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული რეალიზებული და არარეალიზებული ზარალის (*Realised and Unrealised FX losses*) თავიდან არიდებას/შემცირებას უკავშირდება. კერძოდ: პროდუქციის უცხოურ ვალუტაში შეძენის ტრანზაქციებთან დაკავშირებული პოზიციების დახურვა ხდება ყველაზე უფრო ოპტიმალური/მომგებიანი კურსის არსებობისას, რაც შეირჩევა სავალუტო ბაზარზე არსებული მიმდინარე კურს(ები)ის პერმანენტული მონიტორინგისა და ანალიზის საფუძველზე. ამის საშუალებას კი მომწოდებლებთან არსებული კონსიგნაციის პირობები იძლევა. ასევე კომპანია პერმანენტულად უწევს მონიტორინგს და ცდილობს შეამციროს სავალუტო შესაბამისობა ბალანსის მუხლებს შორის (*Currency Mismatch*). ასევე, განსაზღვრულია გარკვეული მოცულობის ბუფერი, რაც სავალუტო რყევით გამოწვეული შესაძლო ზარალთან დაკავშირებული რისკ-პრემიის სახით გათვალისწინებულია ფაქტორში და განივთებულია მარჟაში. ხორციელდება ამ ბუფერის პერმანენტული მონიტორინგი რათა ის მუდმივად იყოს რყევის ამპლიტუდის რელევანტური და ამასთანავე შენარჩუნებულ იყოს კონკურენტუნარიანი ფასები პროდუქციაზე.

საკრედიტო რისკისა და ლიკვიდურობის რისკის თავიდან ასაცილებლად კომპანია მუდმივად აკონტროლებს ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებლებს, კრედიტორების სტრუქტურასა და ვალდებულებების დაფარვის ვადებს. ამის პარალელურად ხდება ფულადი სახსრების მოძრაობის (CF) დაგეგმვა, რაც თავისუფალი ფულის (FCF) მოცულობის კონტროლსა და ფულადი შემოსავალ-გასავლის ურთიერთშეაბამისობას გულისხმობს, როგორც რაოდენობრივ მაჩვენებლებში, ასევე ვადებში.

ხელმძღვანელობის პოზიციით, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ დგას საკრედიტო რისკის წინაშე და აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

23 ოქტომბერი 2025

დირექტორი მალხაზ ტვილდიანი _____

4.4. ფინანსური რისკი

ფინანსური რისკი - განისაზღვრება როგორც ბიზნესის ვალდებულებების მართვასთან და კომპანიის ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებული რისკი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ბაზარზე მომხდარი ცვლილებებიდან, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყოს ბაზრის კონიუქტურაზე მოქმედი სხვადასხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფაქტორებით. ფინანსური რისკის სახეებიდან შპს შვიდისათვის ყველაზე უფრო რელევანტური შემდეგია:

- **სავალუტო რისკი** - კომპანიისათვის წარმოიშება საერთაშორისო ბიზნეს გარიგებებიდან, ვინაიდან საქონლის/მომსახურების შეძენა და რეალიზაცია სხვადასხვა ვალუტაში წარმოებს.
- **საკრედიტო რისკი** - საკრედიტო რისკი ვრცელდება როგორც მომხმარებლებისთვის გაცემულ და მომწოდებლებისაგან მიღებულ სასაქონლო კრედიტებზე (*პროდუქციის კონსიგნაციით შეძენა და რეალიზაცია*), ასევე საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებზე, რაც ნაწილობრივ შეიძლება მოცავდეს საპროცენტო განაკვეთის რისკსაც.
- **ლიკვიდურობის რისკი** - განისაზღვრება კომპანიის ლიკვიდურობის დონით, რაც თავის მხრივ მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების/მიმდინარე აქტივების არსებობას უკავშირდება.

სავალუტო რისკის შემსუბუქებას კომპანია არაერთი მიმართულებით ცდილობს, რაც ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული რეალიზებული და არარეალიზებული ზარალის (*Realised and Unrealised FX losses*) თავიდან არიდებას/შემცირებას უკავშირდება. კერძოდ: პროდუქციის უცხოურ ვალუტაში შეძენის ტრანზაქციებთან დაკავშირებული პოზიციების დახურვა ხდება ყველაზე უფრო ოპტიმალური/მომგებიანი კურსის არსებობისას, რაც შეირჩევა სავალუტო ბაზარზე არსებული მიმდინარე კურს(ები)ის პერმანენტული მონიტორინგისა და ანალიზის საფუძველზე. ამის საშუალებას კი მომწოდებლებთან არსებული კონსიგნაციის პირობები იძლევა. ასევე კომპანია პერმანენტულად უწევს მონიტორინგს და ცდილობს შეამციროს სავალუტო შეუსაბამო ბალანსის მუხლებს შორის (*Currency Mismatch*). ასევე, განსაზღვრულია გარკვეული მოცულობის ბუფერი, რაც სავალუტო რყევით გამოწვეული შესაძლო ზარალთან დაკავშირებული რისკ-პრემიის სახით გათვალისწინებულია ფაქტორიულაში და განივთვლილია მარჟაში. ხორციელდება ამ ბუფერის პერმანენტული მონიტორინგი რათა ის მუდმივად იყოს რყევის ამპლიტუდის რელევანტური და ამასთანავე შენარჩუნებულ იყოს კონკურენტუნარიანი ფასები პროდუქციაზე.

საკრედიტო რისკისა და ლიკვიდურობის რისკის თავიდან ასაცილებლად კომპანია მუდმივად აკონტროლებს ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებლებს, კრედიტორების სტრუქტურასა და ვალდებულებების დაფარვის ვადებს. ამის პარალელურად ხდება ფულადი სახსრების მოძრაობის (CF) დაგეგმვა, რაც თავისუფალი ფულის (FCF) მოცულობის კონტროლსა და ფულადი შემოსავალ-გასავლის ურთიერთშესაბამისობას გულისხმობს, როგორც რაოდენობრივ მაჩვენებლებში, ასევე ვადებში.

ხელმძღვანელობის პოზიციით, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ დგას საკრედიტო რისკის წინაშე და აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

23 ოქტომბერი 2025

დირექტორი მალხაზ ტვილდიანი

